# დროება

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ, 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

კნეინა თამარ დავიდის ასული თარხან-მოურავისა გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას მეუღლისას თვისას თავადის ლუკა თარხან-მოურავისას, სთხოვს მათ მობრძანდნენ განსასვენებლად გვამისა მისისა 15 აპრილს, დილის 10 საათზე, ს. ახალქალაქში. (2—1)

10 ამა აპრილს გარდაიცვალა თბილისის მოქალაქე, ბაყალი ნიკოლოოზ სააკის-ძე ოლანესოვი. განსვენებულს გაასვენებენ (ავლაბარი, საკუთარი სახლი) ავლაბრის ეჩმიაძინის ეკლესიაში, შაბათს, 14 აპრილს, დილის ცხრა საათზე. (2—1)

## შინაური ქრონიკა

≈≈ კანონთა კრებულში გამოცხადებულია შინაურ საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილნი და ხელმწიფე იმპერატორის მიერ მოწონებულნი შემდეგნი წესნი **კავკასიელ სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო სასწავლებელთა შესახებ:**

**1)** სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო სასწავლებლებად იწოდებიან ყოველნი პირველ-დაწყებითი, ერთ და ორ-კლასიანი სასწავლებლები, რომელნიც არიან გამართულნი ამ სარწმუნოების ეკლესიებთან და მონასტრებში და რომელნიც ინახებიან ან ეკლესიის და მონასტრების ხარჯით და ან მრევლთა შემოწირული ფულით.

**2)** სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსებს 975 მუხ. ტომ. XI ნაწ. 1 კანონ. კრ. ძალით ენიჭებათ უფლება საეკლესიო სასწავლებელთა გამგეობის, რომელნიც პირველ მუხლში არიან ნაჩვენებნი.

**3)** საეკლესიო სასწავლებლები იხსნებიან სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების სასულიერო მთავრობის ნებართვით; ეს მთავრობა მოვალეა თვითეული სასწავლებლის გახსნა აცნობოს კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველს, უჩვენოს ადგილი, სადაც სასწავლებელი იხსნება, და ის საშუალებანი, რომლებითაც სასწავლებელი უნდა ინახებოდეს, აგრეთვე ისიც, თუ რა პლანზე უნდა ასწავლონ რუსული ენა, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია და კვირაში რამდენი გაკვეთილი იქნება ამ საგნებისა. ამასთანავე აღნიშნული სასულიერო მთავრობა მოვალეა აცნობებდეს მზრუნველს თვითეული სასწავლებლის დახურვას და აგრეთვე მასწავლებლების გამწესებას და დათხოვნას.

**4)** შეილი საეკლესიო სასწავლებლებში რუსულს ენას უთუოდ უნდა ასწავლიდენ და იმ სასწავლებლებში კი, რომლებშიაც ასწავლიან საზოგადო ისტორიას და გეოგრაფიას, რუსეთის ისტორია და გეოგრაფიაც უთუოდ უნდა ასწავლონ რუსულს ენაზედ.

**5)** როგორ და რამდენად უნდა ასწავლიდენ რუსულს ენას, ამაზედ სამასწავლებლო მთავრობას უნდა მოელაპარაკნენ და ამ უკანასკნელის თანხმობით ასწავლონ იმ პლანზე, რომელიც ყოფილი ნამესტნიკის მიერ არის დამტკიცებული ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დაარსებული რუსული სკოლებისთვის. რუსეთის ისტორიას და გეოგრაფიას უნდა ასწავლიდენ იმ სასწავლებლებში, რომლებშიაც მიღებულია საზოგადო ისტორიის და გეოგრაფიის სწავლება. ამ საგნების სასწავლებლად უნდა ხმარობდენ მარტო იმ სახელმძღვანელოთ, როელნიც მოწონებულნი არიან სახალხო განათლების მინისტრის ანუ სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის მიერ.

**6)** სასულიერო უწყებას ვალად ედება, როს 975 მ. 1 ნაწ. XI ტ. ძალით გახსნილს საეკლესიო სასწავლებლებში სწავლება იმ რიგზე მიდიოდეს, როგორცა თხოულობენ ეს წესები.

**7)** სამასწავლებლო უწყების ვალი კიდევ ის არის, რომ თვალ-ყურს ადევნებდეს იმას, თუ როგორ ასწავლიან საეკლესიო სასწავლებლებში ყოველ საგნეს, გარდა რჯულისა ღვთისა. ამასთანავე ნება ეძლევა (სამასწავლებლო ოლქის მზრუნველს, თუ საჭიროდ დაინახავს რომელიმე მასწავლებლის დათხოვნას, მოსთხოვოს სასულიერო უწყებას მისი დაუყოვნებლივ დათხოვნა და იმის მაგივრად სხვის დანიშვნა. როდესაც სასულიერო მთავრობა ამ მოთხოვნილებას შეასრულებს, მზრუნველმა უნდა მოახსენოს სახალხო განათლების მინისტრს და განსაკუთრებით საჭირო შემთხვევაში მთავარ-მმართებელს, რომელმაც თვითონ უნდა მოახდინოს საჭირო განკარგულება და მხოლოდ აცნობოს სახალხო განათლების მინისტრს, რა განკარგულებაც მოახდინა.

**8)** საეკლესიო სასწავლებლები, რომლებშიაც პირველ-დაწყებით სკოლაზე მომეტებულს ასწავლიან და რომლებშიაც ორ კლასზე ანუ განყოფილებაზე მეტია, უნდა ემორჩილებოდენ სასწავლებლის მთავრობის ზედამხედველობას იმ წესით, როგორც ყველა კერძო სასწავლებლები.

**9)** ეპარქიის უფროსს ნება აქვს, თუ მოიმდომებს, მიანდოს თავის ეპარქიის საეკლესიო სასწავლებლების ზედამხედველობა მარტო ერთს თავისივე ეპარქიის კეთილ-საიმედო სამღვდელოთაგანს, რომელიც უნდა იქმნას დანიშნული თანახმად 973 მ. XI ტ. 1 ნაწ. კან. კრ.

**10)** ეპარქიის ინსპექტორის გამწესებას და დანიშვნას ეპარქიის უფროსი უნდა ყოველთვის აცნობებდეს

---

«დროების» ფელეტონი, 13 აპრილი.

### კ. ე. შ—ს.

განვლეს წლთა. გადამეცვალა გული;
ცა ნათელი ჩემს თვალს მლივლა ახარებს,
ცოცხალი კარ, მაგრამ გაციებული;
გაზაფხული მე ქედარას მახარებს.

—

რაც ოდესმე მტანჯავდა, მახარებდა,
რაც ჩემთვისა მაშინ იყო ნათელი,
რაც ჩემს არსსა სიხარულით ავსებდა,
აღარ არის იგი ჩემთვის ცხოველი.

—

სიყრმითვე მაქვს გული გადაგებული,
ჩემი მუზა ტურფა ქალთ ვეღარ უმღერს,
დაავიწყდა გულს მწარე სიყვარული,
მქლის შვებით თვალი აღარვის უმზერს.

—

მაგრამ უცებ თუ ვინმე დავინახე,—
ტურფა ვინმე მოდის და მოცქრიალებს,
მშვენიერი, ცქური მისი სახე
შემყრელთ მასთან აცხოვლებს და ახარებს,

—

რატომ მეცა თვალი არ შევაცქერო,
არ დაადგეს მას ერთს წამს ჩემი თვალი;
მშვენიერი ღმერთს მაინც შევავედრო,
დაუულოცო მას მისი გზა და კვალი.

—

სად ჭყვაოდი, რომ მხოლოდ ქალა გხედავთ,
აქ დაგარქვეს კოლხიდის ოქროს კრავი.
მოხველ ჩვენთან და ჩვენც გულითა გლოცავთ:
შორს მოგშორდეს ეტლი ბნელი და შავი,

—

გულის შემუნვა რაც ნახე, განქქრეს ქარად,
გელოდეს წინ მხოლოდღა სიხარული,
როგორც ქალა, ჭყვაოდეს ისე მარად,
ღვთისგან მდიდრის შვენებითა მორთული;

—

შეაბუგს და ჭკუას გულს გულით შევყარო,
ნუ შეგხვდეს შენ გული გაციებული,
რომ ნათელი, მშვენიერი სამყარო
აღარ იყოს შენთვის დაბნელებული.

ვ. ო.

---

## მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე.*)

**1285** წელს ბერების მყუდრო ცხოვრება კიდევ დაირღვა. ამის მიზეზნი შეიქმნენ ახლა რომაელნი. ისინი დაეცნენ ათონის მთას და ქართველთ მონასტერი «ათო» სრულიად აიკლეს: ბერები ზოგნი დახოცეს, ზოგნი გარეკეს. ამავე დროს აოხრეს ღვთისმშობლის მიძინების ლავრაცა. ამ დიდებულის ტაძრის ალაყაფის კარების კოშკში ივერიის ღვთის-მშობლის ხატი რომ ესვენა, აქაურმა ბერებმა, ლათინთ მოსვლამდე, გაიტაცეს იგი და დაიმალნენ; მაგრამ ისინი რომ წავიდენ, მოიტანეს ისევ მონასტერში და დაუპატრონდენ თავიანთ ლავრას და ქონებასა.

**1295** წელს იმათ აღწერეს მონასტრის მამულები, შეადგინეს სიგელი და დასდეს მონასტრის არხივში.

ამ დროიდგან მოკიდებული **1306** წლამდე ქართველთ ბერებს ჰქონდათ მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრება.

**1306** წელს მათი ცხოვრება კიდევ აღშფოთდა და ბერები დაწიოკდენ. ლათინთ შემდეგ ათონის მთის მონასტრებს ხელ-მეორედ დაეცნენ ზღვის მეკობრენი სარკინოზნი. ისინი მოვიდენ **16** გემით: ეგონათ, დიდს სიმდიდრეს ვიპოვითო. ბერებმა რომ დაინახეს მტერთა გემები, მაშინვე აიღეს ღვთის-მშობლის ხატი და დაიმალნენ ერთს მაგარს კოშკში. ბარბაროსნი შევიდენ ქართველთ ლავრაში, მოაბეს მისს მარმარილოს სვეტებს თოკები, რომლებზედაც დამყარებული იყო ეკლესიის გუმბათი, მაგრამ სიმკვიდრე მისი ვერ შეარყიეს. როცა მათი გემები გაეცალნენ მონასტერს, შევიდენ ზღვაში და გასცურეს, ასტყდა ზღვაზე საშინელი ქარიშხალი. ამისაგან დაილუპა ზღვაში ყველა გემები, გარდა ერთისა, რომელზედაც იმყოფებოდა მათი უფროსი. ამან ეს უბედურება მიაწერა ღვთის-რისხვას მონასტრის აკლებისა და გაცარცვისათვის, დაბრუნდა უკან და დაუბრუ-

*) იხ. «დროება». № 77.

კავკასიის მთავარ-მმართებელს, ანუ კავკასიის ოლქის სამასწავლებლო მზრუნველს.

**11)** ის უფლება, რომელიც მთავარ-მმართებელს და სამასწავლებლო ოლქის მზრუნველს აქვს მასწავლებლებზე ზედამხედველობის შესახებ, ეპარქიის ინსპექტორებზედაც ვრცელდება.

**12)** სასწავლებლები, რომელნიც ამზადებენ სამღვდელო პირთ სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებისას, ე. ი. ეჩმიაძინის სასულიერო აკადემია და ეპარქიული სასულიერო სემინარიები, არ ექვემდებარებიან სამასწავლებლო მთავრობას და უწინდებულად შინაურ საქმეთა სამინისტროს უწყებაში რჩებიან.

≈ რამდენჯერმე იყო ნათქვამი, რომ კახეთში საქონლის ზარალს ძალიან შეუწუხებია ხალხიო. ახლა მოგვივიდა ამბავი, რომ ორს თუშს თავი მოუკლავს და ერთიც ჭკუაზე შემცდარა, რაკი თავიანთ საყვარელი «ცხორი» თითქმის სრულიად გამწყვარი უნახავთ.

≈ თბილისში გავრცელებულ მოარულ ავად-მყოფობას ჯერ ჯერობით არა ეშველა-რა. ყველამ სრული ეპიდემიური ხასიათი მიიღო და ერთ გვარი სახადი მუცლისა (**брюшной тифъ**) თან-და-თანა ვრცელდება. ბ. გუბერნატორს მოუწვევია ზოგიერთი ქალაქის ექიმები, რათა შეადგინონ კომისია და სახლიდამ სახლში იარონ და აუხსნან მნიშვნელობა ამ ავად-მყოფობებისა და კიდევ ის, თუ რა საშუალებით შეიძლება მათი თავიდამ აცილება. კომისია მალე შეუდგება თავის მოქმედებას. როგორც შევიტყეთ, ამ კომისიაში ექიმს ბ. სფ. ვაწაძეს შეუტანია შენიშვნა, რომელშიაც აცხადებს, რომ მას სურს გამართოს სახალხო საუბრები ამავე საგანზედ ქალაქის სხვა-და-სხვა პუნქტებში. ეს აზრი ბ. ვაწაძისა სწორედ საყურადღებოა, რადგან კარ-და-კარ სიარულს ისა სჯობს, რომ ხალხმა ერთს ადგილას მოიყაროს თავი და ყველამ ერთად ექიმის პირიდამ მოისმინოს საჭირო დარიგება.

≈ მკითხველები მიაქცევდენ ყურადღებას, რომ სწორედ აღდგომა დღეს მომხდარა შეჯახება ვაგონებისა სურამსა და ფონს შუა. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ამ გარემოებას მხოლოდ ცოტაოდენი ვნება მოუტანია ათი ადამიანისათვის, მაგრამ ასე ადვილად გადარჩენას შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ. შესანიშნავი ეს არის, რომ ეს ამბავი სწორედ აღდგომა დღეს მოხდა. ჩვენს რკინის გზას საზოგადოდ ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მასზედ უბედური შემთხვევები ხშირადა ხდებოდეს, მაგრამ ვაი თუ შემდეგში უფრო ხშირად დაგვჭირდეს ამ გვარი საყვედურების გამოთქმა. მართლაც, დღემდის რკინის-გზის გამგეობა ქართველებს სიამოვნებით აძლევდა ალაგებს და ქართველებიც თითქმის ყოველთვის ამართლებდენ მის ნდობას. ამ ბოლოს დროს კი ყოველის მხრიდამ მოგვდის ამბავი, რომ ქართველებს შტატ-გარეთა სტოვებენ და ალაგებს უფრო იმისთანებს აძლევენ, რომელთაც თავიანთ წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ აღდგომას, შობას და სხვა საუფლისწულო დღესასწაულებში ბახუსს ჯეროვანი თაყვანის ცემა გაუწიონ. ეჭვი არ არის, რომ უკანასკნელი უბედური შემთხვევაც ბახუსისადმი უხვს თაყვანისცემას უნდა დაბრალდეს.

≈ აფხაზეთიდამ გვწერენ: მთელ აფხაზეთს და სამურზაყანოში მხოლოდ ექვსი დაბალი ხარისხის სასწავლებელია; ერთი ორ-კლასიანი სოხუმში, ოთხი თითო კლასიანი სამურზაყანოში და ერთი ახალ ათონის მონასტერთან. თუმცა ეს სკოლები **15—20** წელია, რაც არსებობენ, მაგრამ იმათი არსებობა ხალხს ჯერ კარგად არც კი შეუტყვია. ამ უკანასკნელ დროში ჩვენი ოლქის უფროსი ბ. ვედენსკი ძლიერ მოწადინებულია სოხუმში სამოქალაქო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი გახსნას და ერთიც სამრევლო ერთ-კლასიანი, ხოლო ორი ორკლასიანიც ოჩემჩირში და გუდაუთშიო.

ამ სასიამოვნო ამბავს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სოხუმის ახლო ბ. ვედენსკის ოც და-ხუთი დესიატინა ადგილი მიუცია სასწავლებლისათვის იმ პირობით, რომ მესამე და მეოთხე კლასის შეგირდებმა პრაქტიკულად ისწავლონ იქ მიწის მუშაობაო.

≈ სოხუმიდამვე გვწერენ: ჩვენს მაზრაში ათასი ჯურის და მილეთის ხალხი მოდის დასასახლებლად, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ქართველების (მეგრელების) და ბერძნების მეტს სხვას არ ინდობს აქაური ადგილიო. ზოგიერთს ხალხს კიდევ ვერ შეუგნია ეს აფხაზეთის ჰავის დაუნდობლობა და ამ გაზაფხულზე რამოდენიმე მოსახლე ესტელებიც გვესტუმრენ და მეზობლობას გვპირობენ. ღმერთმა ინებოს, კარგი სტუმრები გამომდგარიყვნენ, მაგრამ ვაი თუ აქაური ჰავა ამათაც ისე უწყალოდ მოექცეს, როგორც სხვებს მოექცაო....

≈ გაზ. «რუსკი კურიერის» სიტყვით, ხალხთა განათლების სამინისტროში წარუდგენიათ რამდენიმე ნაჭერი მანანისა, რომელიც მოსულა ერევნის გუბერნიაში **1863** წელში, როდესაც ამ გუბერნიაში დიდი მოუსავლობა თურმე იყო. ამ მანანას დაუწყვია დენა **17** აპრილს; დილ-დილაობით უფრო მომატებული მოდიოდა და ადგილობრივი მცხოვრებლები იმისაგან პურს თურმე აცხობდენ, რომელიც გემოთი ქერის ლავაშს მიემგზავსებოდა. ერთი ნაჭერი მანანასი სამინისტროს გაუგზავნია პეტერბურგის უნივერსიტეტის მუზეუმში.

≈ «მოსკოვის უწყებებში» დაბეჭდილია შემდეგი შესახებ ტყიბულის რკინის-გზისა: «კამპანია კიდეც შეუდგა რკინის-გზის გაყვანას ქვა-ნახშირით მდიდარის ტყიბულისა და ფოთი-თბილისის რკინის გზის შორის. ამ გზის გაყვანის ხარჯად აღრიცხულია **2,600,000** მანათი, ანუ ვერსზედ (სულ **38** ვერსტია) **68.500** მან. ასე ძვირად იმიტომ ჯდება, რომ გზა მთიანს ალაგზედ მიდის. იმედი აქვთ,— ამ გზით წელიწადში გამოიტანონ **7** მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი. ეს ნახშირი ადვილად მიიზიდება თბილისში, სადაც მან შეშის ადგილი უნდა დაიჭიროს და ბოლო მოუღოს უზომოდ ტყეების გაწყობას თბილისის გუბერნიაში.

≈ «იურიდიულს მიმოხილვას» სწერენ დ. ონიდან (რაჭა), რომ წარსული მარტის **31**, ღამის **11** საათზედ, ს. ჯოსუბანში ერთი ხუთ-ოთახიანი ხის სახლისათვის, რომელიც

---

ნა მონასტერს ყოველივე, რაც ეშოვნათ, მიიღო თვითონაც ქრისტიანობა, შესდგა ბერად და იქვე მოღვაწეობდა ქართველთა-თანა. მისი სურათი დღემდე არის თურმე შენახული ხელ-უხლებლად ეკლესიის შესავალ კარებზე—გარედ.

**1310** წელს მიხეილ კომნენმა პალეოლოგმა გრამოტით დაუმტკიცა მონასტერს ყველა ის მამულები და ქონება, რომელნიც ოდესმე მას ეკუთვნოდა და მონასტერს უწოდა: «სავანე კარის ღვთის-მშობლისა»

**1346** წელს სერბიის მეფემ სტეფანე დუშანმა ძლიერმა მიიღო ივერიის მონასტერი თავის მფარველობის ქვეშ და იმანაც იგივე სახელი უწოდა, რომელიც მიხეილ კომნენმა.

**1350** წელს ქართველთ ღვთის-მშობლის მიძინების ეკლესიას შეუუცვივდენ ბერძნის ბერები და გამორეკეს იქიდგან ქართველი ბერები. უკანასკნელთ ეს იწყინეს და იჩივლეს ათონის მთის გამგებლებთან—არსენსა და თეოდორესთან; მაგრამ მათს საჩივარს ყური არ უგდეს. მაშინ საჩივარი გაგზავნეს კონსტანტინეპოლის პატრიარხს კალისტესთან, რომელიც მეუფებდა **1350** წლიდგან **1362** წლამდე. მაგრამ არცა-რა ამ საჩივრიდგან გამოვიდა ქართველთ სასარგებლოდ. პატრიარხმა ბერძნის ბერების მხარე დაიჭირა; მართალია, საბუთების დარღვევა ვერ შესძლო, ქართველთ საჩივრის სიმართლე უარი ვერ ჰყო, მაგრამ მაინც დიდი მეცადინეობა გასწია, რომ ჩამოართვას იმათ ივერიის ღვთის-მშობლის ლავრა და მისცეს ბერძნებს. მიზეზად იმათთვის მონასტრის ჩამორთმევისა იმას ის მოსაზრება მოჰყავდა, რომ ვითომც ქართველები ისრე ვერ უვლიდენ მონასტერს, როგორც რიგი იყო. ამ მიზეზმა ჩვენი მეუფება იძულებული ჰყო, ამბობს ის ეპისტოლეში, ჩამოვართვათ ლავრა ქართველებს და გარდავცეთ ბერძნის ბერებს, რომელნიც პირველებზე უფრო განათლებულნი არიან, უფრო სუფთად შეუძლიანთ შეინახონ მონასტერი და კანონიერად ადიდონ ყოვლად წმინდა ღვთის-მშობელიო. ამასთანავე პატრიარხი მეცადინეობს ქართველები დაამშვიდოს: არიგებს და ეხვეწება იმათ: ნუ იჩხუბებთ და ნუ გამოართმევთ ბერძნებს ივერიის ლავრას, რადგან იმათ უფრო კარგად იციან სამღვთო წერილი და ეკლესიური წესების აღსრულებაო; თქვენ ქართველთ, თუ გსურთ მაინცა და მაინც ათონის მთაზე მოღვაწეობა,—იყავით, არავინ გიშლით აქ ყოფნასაო, და წირვა-ლოცვის აღსასრულებლად მოგვიცია ის პატარა ეკლესია, რომელშიაც ასვენია ივერიის ღვთის-მშობლის ხატიო. «ეს შემთხვევა მოხდაო, ამბობს ეპისკოპოსი პორფირი, ან **1353** წელს, ან ცოტა მერმე—**1362** წლამდეო».

მაგრამ, როგორც ეტყობა, პატრიარხის ამ გვარი განაჩენი და მოსაზრებანი ქართველ ბერებს არ მიუღიათ სიმართლედ და არ გარდაუციათ ლავრა ბერძენთათვის, რადგან პატრიარხს არც არა ეჩუქებინა რა მათთვის და არც გაუქმება შეეძლო იმ სიგელთა, რომელნიც საბერძნეთის იმპერატორებისაგან იყვნენ დამტკიცებულნი. ეს არის მიზეზი, რომ **1366** წელს, როცა საქართველოში მეფობდა ბაგრატ დიდი მე-V, წინამძღვრად ივერიის ღვთის-მშობლისა იყო დიმიტრი ქართველი და იმან ხელი მოაწერა მიწის ნასყიდობის სიგელზე ბერთა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით.

**1483** წლიდგან დაწყებული **1516** წლამდე უშრომნიათ ათონის მთაზე მყოფთ ივერიის მონასტრების გამშვენიერებაზე და გამდიდრებაზე სამცხე-საათაბაგოს მთავართ: ყვარყვარე **III**-ს, კაიხოსრო **II**-ს და ამის შვილს მზეჭაბუკს, ესე იგი პაპას, შვილს და შვილის-შვილს. რაც დროთა ვითარებისაგან დაძველებული, გაფუჭებული და დაქცეული იყო, იმათ ეს ყოველივე გააკეთეს და განაახლეს. ამავე დროს, ამათვე ახლად აუშენეს ლავრას წვრილი გუმბათები. ამ სამსახურისთვის ისინი დახატულნი არიან კარის-ბჭეში სახელოვან თორნიკე ბერთან ერთად, ნიშნად იმისა, რომ ამათაც ისეთი სამსახური გაუწიეს მონასტერს თავის ქონებით, როგორც თორნიკე ბერმა.

ამათ შემდეგ, როგორც ამბობს პორფირი ეპისკოპოსი, ათონის მთაზე მოსულა **1680** წელს მუხრან-ბატონი აშოთანი თავის ახალ-გაზრდა შვილით. ჩვენის ფიქრით, ეს აშოთანი იყო ქეთევან დედოფლის მამა. აქ რომ მოსულა ის შემდგარა ბე-

ეკუთვნოდა დარბაისელს, პატივცემულს და შეძლებულს აზნაურს დიმიტრი ბაქრაძეს, ღამით, როცა სახლში ყველას ეძინათ, გარედან ნავთი დეესხათ და წეეკიდებინათ ცეცხლი; დაიწვა მოსამსახურე ქალი სიდონია ჩიჩილაძე. თითონ ბაქრაძემ და იმის მეუღლემ ძლივს დაალწიეს თავი; ბაქრაძის ერთად-ერთ გათხოვილს ქალს, როცა ჩადიოდა იგი კიბეზედ, ჩაემტვრა კიბე და კინალამ ისიცა და სხვებიც არ დაიღუპნენ. დიმიტრი ბაქრაძეს მთელი რაჭა პატივსა სცემს; იმას არ უყვარდა დავი-დარაბა, უვლიდა თავის მამულს და ითვლებოდა შეძლებულ კაცად. იგი იყო ამორჩეული წევრად იმ კომისიისა, რომელსაც უნდა დაესახელებინა ბოროტ-მომქმედი აზნაურიშვილები. ბაქრაძემ სინიდისიანად აასრულა თავის ვალი და ამისათვის დაღუპეს იგი. მართალია, ბოროტი ენები სულ სხვა მიზეზებს ასახელებენ, მაგრამ მაინც მთელი რაჭა შეძრწუნებულია ამ მხეცური ბოროტ-მოქმედებით. მოხელეები მოვიდნენ ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. ბაქრაძის სახლობას სრულიად არაფერი აღარა დარჩენია,—ის და მისი ოჯახობა პერანგის ამარად-ღა დარჩნენ. ზარალი მოჰსვლიათ 10,000 მან. მეტი. ბაქრაძეს თითქმის სათხოვნელად გახდომია საქმე.

≈≈ იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ კავკასიის მინერალური წყლები გადაუციათ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მთის უწყების დეპარტამენტისათვის, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს ხსენებული წყლების მდგომარეობა, როგორც არის გადაწყვეტილი სახელმწიფო რჩევისაგან 1883 წ. 13 დეკემბერს. ჯერ-ჯერობით წყლები იქნებიან მართებლობის კომისარის მზედველობის ქვეშ. მერე კი საბოლოოდ გადასწყდება სახელმწიფოს ხელში დარჩებიან თუ კერძო პირებს გარდაეცემათ ეს წყლები. ამის შემდეგ მედიცინის დეპარტამენტის საქმე მარტო სამკურნალო ნაწილის ინსპეკციაღა იქნება.

## «დროების» კორესპონდენცია.

—

სოფ. საგარეჯო. წლევანდელი წელიწადი ჩვენი სოფლებისათვის არ იყო უამბო. ბევრი ხვეწნისა და მუდარების შემდეგ ძლივს შევესწარით ბძანებას შესახებ შოსეს გაკეთებისა ჩვენს სოფლებზედ კაკაბეთიდან სართის-ჭალამდის. ჩვენი ხალხი ამისათვის არა სწუხს და არა ჰზოგავს შრომას, რადგანაც ამ გზას მალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სოფლებისათვის. გვპირდებიან იმასაც, რომ გითავებთ და იორზედ ხიდს გაგაკეთებინებთო და როდესაც ამაებს დაასრულებთ, ფოსტაც მანდეთკენ წამოვაო. ამასთანავე ხალხს მოუვიდა ბძანება—ყოველ სოფელში გაკეთონ სკოლის, კანცელიარიის და მაღაზიისათვის შენობები წინადვე გამოგზავნილ პლანზედ აუცილებლად. რასაკვირველია, არც ეს არის უმნიშვნელო, რადგანაც დღევანდლამდის სკოლებიც და კანცელიარიებიც ნახევარზე გომურებში იყო. თითო სოფელს ეს შენობები დაუჯდება 3000-4000 მანეთი და იმდენიც არის, რომ მას აუცილებლად განათლებაც მოჰყვება. მშვენიერი, დაწყებილი სკოლის შენობა, რომელშიაც ორსა და ზოგან სამ ენაზედაც სწავლობენ, თანაც ბიბლიოთეკები მაგრა დახურობილი შკაფებში...

არც ჩვენმა შინაურმა საქმეებმა— ბანკმა და დეპომ—გადაიარეს უამბოდ. მამა-პაპურმა სენმა კიდევ-და-კიდევ წამოგვკრა და საზოგადო საქმისათვის ფიქრისა და მოსაზრების მაგივრად ყრილობის ყურადღება მიიქცია აყალ-მაყალმა და ჩხუბმა. ბანკი და დეპო გარდაიქცნენ ბურთად და მოედნად, სადაც ახალმოდურმა ფალავნებმა საზოგადო საქმეებიც არ დაზოგეს და თავიანთ კერძო დავიდარაბის ასპარეზად გაჰხადეს. ღმერთმა ქნას, რომ კვლავ მაინც ეს პირადობა აგვცილებოდეს და უმისოდაც შენიშვნის შეჩვეულ ხალხისათვის ამის ახალი მაგალითი აღარ გვეჩვენებინოს.

სოფ. სამიქაო. ბზობის წინად, სოფელს გზათს, სამიქაოს საზოგადოებაში, მოხდა ერთი საზარელი ამბავი: ერთმა აქ მცხოვრებთაგანმა, რომელსაც თითქო შეშლილობა ეტყობა, შეღამებულზედ დასცა თავის ცოლს დანა კისერში და სული გაანთხევინა. გამოვარდა კარში და შექნა ერთი ყვირილი და ვაი-ვაგლახი.

ყვირილზედ შეგრბნენ მეზობლები და ჩვეულებრივ მიუსამძიმრეს. ტირილი გადიხადეს, მიცვალებული გაასვენებინეს მკვლელს, რომელიც უკანასკნელს გამოთხოვებაზედ წვერ-ულვაშს იგლეჯდა და თავს იტეხდა. ტირილის შემდეგ, ერთმა ბებია ქალმა, რომელმაც გაბანა მოკლული, სთქვა—ის, როგორც ჩემი მოკლე ჭკუით ვიცანი, ძალად მოკლული იყო, გამოღადრული კისერი სისხლით ჰქონდა შეღებილიო. საზოგადოებამ დაიჯერა ეს ნაამბობი: თუ ასე არ იყოს, ერთ წუთში რა მოუვიდოდაო. ამ ამბავმა მთავრობამდისაც მიაღწია. მოვიდა ბ. გამომძიებელი თ. გ. ერისთავი, ბ. პრისტავი და მაზრის ექიმი ბ. გარსნოვსკი. საფლავიდამ ამოიღეს მკვდარი და შეამოწმეს. შემოწმებამ დამტკიცა, რომ მართლა მოკლული იყო და არა თავისით მკვდარი.

## განცხადებანი

—

გამგე კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის უმორჩილესად სთხოვს მოხსენებულ საზოგადოების წევრთა, რომელთა შორის ირიცხებიან აგრეთვე თბილისის საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელნი, რათა მობძანდენ ჩვეულებრივ წლიურ საზოგადო კრებაზე 5 მაისს, საღამოს 6 საათზე, სააზნაურო სკოლაში, სტარო-ინსტიტუტსკის ქუჩაზე.

საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი:

1) გამგე კომიტეტის წლიური ანგარიში შესახებ სააზნაურო სკოლის მდგომარეობისა და.

2) ბიუჯეტი მომავალი აკადემიური წლისა. (6—1)


## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2—- ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები,


რად და სახელად დაურქმევიათ ნიკიფორე. მონასტრის გალავნის შიგნით, ღვთის-მშობლის მონასტრის ეზოში, ჭიშკარის მახლობლად, გვერდზე, აუშენებია პატარა ეკლესია და ივერიის ღვთის-მშობლის ხატი აქ ჩამოუსვენებია კოშკიდგან, სადაც ის ძველის-ძველადგანვე ესვენა. ამ საქმეში მას ჰშველოდენ ვიღაცა სოლომონი, ივერიის მონასტრის წინამძღვარი ისააკი და საქართველოს ქათალიკოზი ნიკოლოზ I.

ეს პატარა ეკლესია, სავანე ივერიის ღვთის-მშობლისა, 1683 წელს თავის ხარჯით დაუხატვინებია (კედლები) უგროვლახეთის მეფეს სერბან კანტაკუზენს. ამ დროს კოსტანტინეპოლის პატრიარხად ყოფილა დიონოსე და საქართველოს ქათალიკოზად ნიკოლოოზი. ერთს იესო ქრისტეს ხატს, რომელიც ამ დროს არის დახატული, სიგძე აქვს ერთი საჟენი, სიგანე არშინი, და მისს წინაშე დაჩოქილია აშოთანი თავშიშველა; მას აცვია მოქარგული ტანისამოსი, შესცქერის იესო ქრისტეს და ევედრება. აქვე მის გვერდით, დახატულია მისი შვილიც. ეპისკოპოსი პორფირი ამბობს, რომ ჭაბუკს მშვენიერი ქართული სახის მეტყველება აქვსო.

ამ ეკლესიას ორი წარწერა აქვს ბერძნულს ენაზე: ერთი გარედ ტაძრის სამხრეთის კედელზეა, მეორე შიგნით გამოსავალ კარების თავზე. აი რას ამბობს მეორე წარწერა: «ესე ეკლესია საძირკვლიანად არის აშენებული შემწეობითა ილუმენთ ილუმენისა სოლომონისა და ხარჯითა კეთილ-მსახურისა აშოთანისა და სტეფანისა, ხოლო დახატულ იქმნა ხარჯითა უგროვლახეთის მეფისა სერბან კანტაკუზენისა, დროსა კოსტანტინეპოლის პატრიარხისა დიონოსისა და საქართველოს ქათალიკოზისა ნიკოლოზისა, როცა იგუმენად იყო ეფთვიმე,—1683 წელს, 30 სექტემბერს».

თუმცა 1350 წლისა და 1362 წლის შუა პატრიარხმა კალისტე I-მა, როგორცა ვსთქვით ზემოთ, მოიწადინა ივერიის ლავრის ბერძნის ბერებისათვის გადაცემა, მაგრამ ქართველთ ბერები ამის თანახმა არ გახდენ და ბერძნებმაც იქ ფეხი ვერ მოიკიდეს. ამას ამტკიცებს თვით კალისტეს ეპისტოლე, რომელიც მას დაუწერია განჩინების შემდეგ თავის მომხრეების თანხმობით, როგორც იგი თვითონვე აღიარებს. როგორც უკვე დავამტკიცეთ 1683 წლამდე ქართველი ბერები სცხოვრებდენ ივერიის ღვთის-მშობლის ლავრაში, განაგებდენ მის საქმეებს და სარგებლობდენ მის მამულის შემოსავლით. მათთან ერთად თუმცა ბერძნის ბერებიც სცხოვრებდენ, მაგრამ მონასტერი ქართველების საკუთრებას შეადგენდა, წინამძღვრად იყვნენ ქართველნი, შემოსავალ-გასავალიც მათ ეკითხებოდათ და ცხოვრებაც ჰქონდათ ზოგადი. ერთს პატარა წიგნში, რომელიც რუსულად არის დაწერილი და სახელად ჰქვიან: «Краткія свѣдѣнія объ Иверскомъ монастырѣ на Афонѣ»—ასე სწერია, რომ მე XVIII საუკუნის ნახევრამდე ათონის ივერიის მონასტრის მამათ წინამძღვარნი ქართველნი იყვნენო, ამისათვის რომ მონასტერი მათი საკუთრება იყო და საბერძნეთის იმპერატორებისაგან მათს სახელზე დამტკიცებული; ხოლო ამ დროიდგან, რადგან საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლისა გამო სასულიერო წოდება ახლა მხოლოდ იმასღა ჰფიქრობდა, რომ გაამხნევოს ხალხი და დაიცვას ქრისტეს სჯული საქართველოში,—ათონის მთაზე ველარ ჰგზავნიდა ბერებს თავიანთ მამა-პაპის საკუთრების დასაცველად,—ქართველები აქ ძალიან შეცოტავდენ და ველარ უვლიდენ ყველა მონასტრებს. მონასტრისთვის მოსავლელად იმათ თავიანთ ნებით მიიღეს ლავრაში ბერძნის ბერები; მაგრამ იმისათვის კი არა, რომ იმათ დაისაკუთრონ ქართველთ კუთვნილება, არამედ მისთვის, რომ თვითონ ცოტანი იყვნენ და მონასტრის საქმეები კი მომეტებულს რიცხვს ბერებისას მოითხოვდენ. დაიწყეს ქართველთა და ბერძენთ ბერებმა ზოგადი ცხოვრება, როგორც დაწესებული იყო ქართველთაგან. რადგან ბერძნები იყვნენ მათთან მხოლოდ სტუმრად, ამისათვის ისინი ვერ ერეოდენ მონასტრის საქმეების გამგეობაში და 1801 წლამდე იმათ არასოდეს არც უთქვამთ, რომ ივერიის მონასტერი ქართველებისა არ არისო, და ვერც გაბედეს მათთვის წინამძღრობის ჩამორთმევა.

(დასასრული იქნება).

კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—11)

---




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი
## (Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში, მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფ ა რ მ ა ც ი ი ს მ ა გ ი ს ტ რ ი ს ვ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

ვ. კარპინსკი.
(10—5)

---

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფური, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრაკნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა. აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ელიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—97)

---

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ—ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახლობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классической Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—7)

---

სავლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აურებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, პუმაგნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის ატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპროპკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრავები, საქქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 ა. (100—74)

---

ინგლისის მაღაზიაში



### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—15)

### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

# ანგარიში.

## რაჭის მაზრის ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა 1883 წლისა.

### 1 იანვარს 1883 წელს იყო:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი. | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 6821—64 | გასესხებული — — | 8745—64 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 240— » | ნაღდი ფული — — | 390—42 |
| სათადარიგო თანხა — | 480—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 1593—51 | | |
| ჯამი. | 9136— 6 | ჯამი. | 9136— 6 |

### 1883 წელში.

| შემოსავალი: | | გასავალი: | |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 381—63 | წილადი ფული — — | 580—95 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების და ახალი ვადის მიცემის დროს | 914—11 | მოგება "წილადზე" მიცემული — — — | 989—94 |
| ჯარიმა — — — | 134—20 | გასესხებული — — | 14,054— » |
| დაბრუნებული სესხი — | 14,628—56 | სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გარდახდილი სესხისა — | 4—39 |
| სათადარიგო თანხა — | 159—35 | სამმართველოს ხარჯი — | 120—40 |
| | | სხვა-და-სხვა— — — | 6— » |
| | | ალებ-მიცემისა — — | 414—35 |
| ჯამი. | 16,217—84 | ჯამი. | 16,170— 3 |

### 1 იანვარს 1884 წელსა არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 6622—32 | გასესხებული — — | 8171— 8 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 240— » | ნაღდი ფული — — | 438—23 |
| სათადარიგო თანხა — | 640—26 | | |
| წმიდა მოგება — — | 1196—73 | | |
| ჯამი. | 8609—31 | ჯამი. | 8609— 3 |

თანასწორ არს ნამდვილისა: გამგებელი: თ. ვ. წიწიანი.

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა** — | —1 | გირ. | 5 კ. |
| ** აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა** — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| **იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 11 კ. |
| **ღორის ღორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. ценз. Тифлисъ, 12 Апреля 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. მართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.